ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების პირობებსა და პროცედურებს;
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი უნდა ფლობდეს ქართულ ან ინგლისურ ენას, აკადემიური პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად;
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველმა აბიტურიენტმა/მაგისტრანტობის კანდიდატმა/სტუდენტმა უნივერსიტეტის კანცელარიაში უნდა დაწეროს განცხადება უნივერსიტეტში სტუდენტის ვაკანტური ადგილის არსებობის დადასტურების შესახებ. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საფეხური ;
4. განცხადება იწერება რექტორის სახელზე და ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განცხადებას აგზავნის შესაბამის ფაკულტეტზე/სკოლაში.
5. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს უტარდება გამოცდა ქართულ ენაში, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს - ინგლისურ ენაში.
6. გამოცდას ქართულ ენაში ატარებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის წარმომადგენელი, ხოლო ინგლისურ ენაში - ის ფაკულტეტი/სკოლა, რომელზეც ხორციელდება შესაბამისი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა. ქართული ან ინგლისური ენის გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, ფაკულტეტი/სკოლა გასცემს რეკომენდაციას სასურველ აკადემიურ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაცია წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც მოამზადებს საპასუხო წერილს ვაკანტური ადგილის არსებობის შესაბამისად;
7. გარდა ამ წესის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გამოცდისა, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველ აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს/სტუდენტს შესაძლოა ჩაუტარდეს დამატებითი გამოცდა/გასაუბრება კონკრეტული აკადემიური პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად;
8. ამ წესის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ქართული ენის გამოცდისგან თავისუფლდება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის

მსურველი აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო ვალიდურ სერთიფიკატს (TOEFL, IELTS, FCE) ან ინგლისურენოვან საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს (დიპლომის ვალიდობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

9. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლების მქონე პირებს, რომლებიც ვერ დაადასტურებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ქართული ენის დონის ფლობას, უფლება აქვთ, მათი მოთხოვნის საფუძველზე და ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, ჩაირიცხონ „ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე", რათა შემდგომ სწავლა გააგრძელონ საბაკალავრო საფეხურზე. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები, თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე;

10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის" წესის მიხედვით, თუ მსურველი ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მასთან ფორმდება ხელშეკრულება და გამოიცემა რექტორის ბრძანება პირის ჩარიცხვის შესახებ.